სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

09 სექტემბერი 2025

N 484/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „მაგი“-ზე „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, შესახებ

2025 წლის 08 სექტემბერს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მომართა შპს „მაგი“-მ და ითხოვა „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული შემდეგი ნივთიერების ტრანზიტის ნებართვის მიღება შესაბამისი ოდენობით:

- R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 12 000 კგ;

წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-5 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის 7^2 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტის მე-4 მუხლის საფუძველზე.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „მაგი“-ზე (საიდენტიფიკაციო კოდი: 215112170) „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვა შემდეგი ნივთიერების ტრანზიტისათვის შესაბამისი ოდენობით:
   - R404A (HFC-143a/HFC-125/HFC-134a) – 12 000 კგ;
2. ნებართვა ძალაშია მისი გაცემიდან ერთი წლის ვადით;
3. შპს „მაგი“-მ უზრუნველყოს საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს №286 დადგენილებით დამტკიცებული „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტის და ტრანზიტის ნებართვის გაცემის, წლიური საიმპორტო კვოტის განაწილების წესისა და სანებართვო მოწმობის ფორმის დამტკიცების თაობაზე ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „მაგი“-ს;

5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მაგი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/484-21-4-202509091726